პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 44 (6109)

2 მარტი, ხუთშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ჩიბურდანიძე-კუშნირი — 7:6

გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ბად-კისინგენში შედგა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — მ. ჩიბურდანიძისა (სსრ კავშირი) და ა. კუშნირის (ისრაელი) ფინალური მატჩის გადადებული — XIII პარტიის დამთავრება. 41-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად მატჩის ანგარიშია 7:6 მ. ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

## რაც ობიექტივს მიღმა რჩება

სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატი კალათბურთში

თბილისი. სპორტის სასახლე. 28 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 108:100 (51:50).

„დინამო": ძიძიგური, გარუჩავა, ჩხიკვაძე (2), ბიჭიაშვილი (10), ჩიხლაძე (8), დერიუგინი (26), გულდედავა (18), ქორქია (28), გრძელიძე (16).

„სტროიტელი": შალნევი (20), სმოლიაკოვი, რიჟიკი (12), კლუევი (2), ტკაჩენკო (4), ზდრაკი (14), ბელოსტენნი (23), ხომენკო (10), კოვალიანკო (15).

მსაჯები: ბ. ანტონოვი (ნარვა), ვ. გეშტაუტასი (ვილნიუსი).

დუბლიორები: 88:95 (51:45).

საკალათბურთო ორთაბრძოლისას მეტწილად ობიექტივს მიღმა რჩება ყველაზე საინტერესო და ალბათ გადამწყვეტი მომენტი — მწვრთნელთა დუელი. არადა ყველაფერი — ქულათა სხვაობა, ლამაზი კომბინაციები, მოთამაშეთა სწორი თუ არასწორი მოქმედება, ერთი სიტყვით, მოედანზე ატეხილი სპორტული შეხლა-შემოხლა ამ ჩუმი, ნერვული და დაძაბული პაექრობის, გუნდის სარდალთა პაექრობის ლოგიკური გაგრძელებაა.

რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც. შარშანდელი ჩემპიონატის ბოლოს, თბილისური ტური ცსკა-მ უფროსი მწვრთნელის გარეშე ითამაშა. ამას გუნდის მწვრთნელის ალექსანდრე გომელსკის საწყენად არ ვამბობთ, მაგრამ ცსკა-ს ნამდვილად ძალუძს თავისი დამრიგებლის გარეშე ბრძოლა — აქა-იქ მაინც. არმიელთა კოლექტივი ხომ უმაღლესი ხარისხის დეტალებით აწყობილი მექანიზმია, რომელსაც დროდადრო გაპოხვა თუ სჭირდება. თუმცაღა ეს მექანიზმიც ითხოვს ოსტატის ხელს. კალათბურთის თბილისელ მოყვარულს უთუოდ ახსოვს წლევანდელი სეზონის თბილისური მატჩი ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის. მაშინ „სპარტაკმა", რომ იტყვიან, პირდაპირ გაანადგურა მრისხანე მეტოქე. მატჩის შემდეგ ტყუილად არ ულოცავდნენ ვლადიმერ კონდრაშინს — ეს გამარჯვება პირველყოვლისა მისი დამსახურება იყო.

...28 თებერვლის მატჩი. „დინამო" — „სტროიტელი", მეთვრამეტე წუთი. თბილისელები ექვსი ქულით იგებენ შეხვედრას. ეს-ეს არის „სტროიტელმა" დაკარგა ტკაჩენკო, ოთხფოლიანი ტვირთით აგრძელებს ბრძოლას ბელოსტენნი. თითქოს ყველაფერი გარკვეულია, „დინამოს" არ უნდა გაუჭირდეს გამარჯვება. რამდენიმე გზაც კი გამოჩნდა, მაგრამ საქმეც ის არის, ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე ნაღდი უნდა გამოიძებნოს.

მართლაცდა, საინტერესო იყო, როგორ მოიქცეოდა თბილისელთა მწვრთნელი. ლევან მოსეშვილს დიდხანს არ უყოყმანია...

შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა კიევის „სტროიტელმა" საკმაოდ ულიმღამოდ დაიწყო წლევანდელი გათამაშება — ჯერ იყო და ძლივს მოხვდა რვა უძლიერესს შორის, მერე რამდენიმე მარცხიც იწვნია და არა ერთსა და ორს ათქმევინა, რომ ეს გუნდი სანუკვარ თოხეულზე ოცნებასაც ველარ გაბედავდა. მაგრამ გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა, ძველებურად ამუშავდა კიევური ძრავა და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს კოლექტივი დაუმსახურებლად, ნაადრევად „ჩამოწერეს". თბილისის „დინამოსთან" მატჩის წინ „სტროიტელი" უკვე თავისიანებს შორის —

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •





სურათებზე: თბილისელთა ცენტრის დერიუგინის ამგვარი მეურვეობა ძვირად დაუჯდა ტკაჩენკოს (№ 11); მეტოქის კალათს უტევს გულდედავა.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## კოკორევი ევროპის რეკორდსმენია

ვიტყობინებოდით, რომ კოპენჰაგენში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ქალთა გუნდმა 1153 ქულა მოაგროვა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა და პირველი ადგილი დაიკავა, სარბიელზე ვაჟები გავიდნენ. ამავე იარაღით (მცირეკალიბრიანი შაშხანა) ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდით ჩემპიონი გახდა გფრ-ს გუნდი. საბჭოთა სპორტსმენები 1508 ქულით მეხუთე ადგილს დასჯერდნენ.

სამაგიეროდ კარგად გამოვიდა ჩვენი ქვეყნის იუნიორთა ნაკრები, რომელმაც 1148 ქულა მოაგროვა და ევროპის რეკორდსმენი გახდა. პირად ტურნირში ყველას აჯობა ა. ლისენკომ, ხოლო მისი თანაგუნდელი ა. გილი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

პისტოლეტით შეჯიბრებაში საბჭოთა ქალებმა, როგორც გუნდურ (1136 ქულა), ისე პირად ჩათვლაში (გ. კორზუნი — 380 ქულა) ოქროს მედლები მიიღეს, ხოლო იუნიორთა ნაკრებმა, რომელშიც თბილისის დინამოელი ბ. კოკორევიც იყო, 1149 ქულა აჩვენა. ესეც ევროპის რეკორდია, რამაც ს. პიჟიანოვს, ბ. კოკორევსა და ს. გუშენიუკს გუნდური პირველობა მოუტანა.

პირად ჩათვლაში ს. პიჟიანოვმა იმარჯვა — 388 ქულა.

ამავე იარაღით ვაჟთა ტურნირში ჩემპიონი გახდა გდრ-ს კვარტეტი — 1530 ქულა. საბჭოთა სპორტსმენები მათ 16 ქულით ჩამორჩნენ და VI ადგილს დასჯერდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენებმა 12-დან 8 ოქროს მედალი მოიგეს.

## თაყვანისმცემლები „იცნობიან" ჩემპიონს

სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში

ოთხი დღის განმავლობაში ელოდა თბილისელი მაყურებელი ევროპისა და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის დავით კვაჭაძის ხილვას, ოთხი დღის განმავლობაში არ დამცხრალა ინტერესი მისი გამოსვლის მიმართ და აი, სპორტის სასახლის რინგზე უკვე ერთმანეთის პირისპირ დგანან სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი, ლენინაკანელი დინამოელი ნ. გევორქიანი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისელი დ. კვაჭაძე. მსაჯი ხელით ანიშნებს სეკუნდანტებს — რინგი დასტოვეთო, გაისმის გონგის ხმა და მეტოქეები ერთმანეთს უახლოვდებიან...

სანამ ამ შეხვედრაზე მოგითხრობდეთ, რომელმაც კრივის მოყვარულებს ჭეშმარიტი სიამოვნება, მძაფრი ვნებათაღელვა და ბოლოს სიხარული განაცდევინა, ორიოდ სიტყვით წინა ბრძოლებს შევეხებით.

იმ დღეს გამოვლინდნენ პირველი ნახევარფინალისტები. ესენი არიან მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეები, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი ვ. ლიმასოვი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები რიგელი ვ. ბოდნია და ალმაათელი ვ. რაჩკოვი, სპორტის ოსტატი ო. ტეპცოვი (კიევი). სწორედ მათ შორის გაიმართება ბრძოლა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად. დანარჩენ შეხვედრებში კი, რომლებიც ორ რინგზე ერთდროულად მიმდინარეობდა, მონაწილენი მეოთხედფინალის საგზურისთვის იბრძოდნენ.

მსუბუქი წონის მოკრივეთა შეხვედრებიდან საინტერესო იყო თბილისელი სპორტის ოსტატის, წარსულში ცნობილი მოკრივეების, კ. ბაბახანიძისა და შ. გორგასლიძის აღზრდილის, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონის ო. განჯოიანისა და ნოვოკუზნეცკელი სპორტის ოსტატის ო. მალიკის ბრძოლა. სპარტაკელი მალიკი საბჭოთა კავშირის 1977 წლის ჩემპიონია იუნიორთა შორის და მიუხედავად იმისა, რომ სულ 18 წლისაა, საკმაოდ დახვეწილი მოკრივე გახლავთ. წინასწარ შეხვედრაში მალიკმა კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოავლინა და ადვილად სძლია ულანუდელ სპორტის ოსტატ ვ. ნაქმილოვს. ო. განჯოიანი პირველ რაუნდშივე შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე ძლიერი ჰუკით მეტოქეს მომგებიანი ქულები აართვა. თუმცა, მალიკმა ფარხმალი როდი დაყარა — მძაფრი კონტრშეტევით ბრძოლა გაათანაბრა, მაგრამ მესამე რაუნდში ო. განჯოიანის უპირატესობა კვლავ გამოიკვეთა და მსაჯებმა გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს.

როდესაც პირველი ქვესაშუალო წონის მოკრივეთა ერთ-ერთი წყვილის შეხვედრა დამთავრდა, დიქტორმა გამოაცხადა — გამარჯვებულ ვალერი

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

სურათებზე: მ. თაქთაქიშვილისა და ა. კოპტევის ბრძოლის მომენტი; თბილისელმა ო. განჯოიანმა ჩემპიონატის ორი შეხვედრა უკვე მოიგო და მეოთხედფინალის საგზურიც მოიპოვა. მეორე სურათზე მისი და ო. მალიკის შეხვედრის ერთი მომენტია აღბეჭდილი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანი: ჩამორჩენის ლიკვიდაცია

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ საქართველოს მძლეოსნებმა თანდათან დაკარგეს ტრადიციები და საერთაშორისო სარბიელზე კი არა, საკავშიროზეც ველარ აღწევენ რაიმე ხელსახებ წარმატებებს. შარშან ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ ერთმა მძლეოსანმა შეძლო სპორტის ოსტატის წოდების მოპოვება.

მაგრამ ასეთი სავალალო მდგომარეობა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში როდია, სომხეთში არც ერთი ოსტატი არ მომზადებულა, მოლდავეთში ორმა კაცმა მოიპოვა ეს წოდება. სპორტის ოსტატების მომზადების გეგმების შესრულება ვერ შეძლეს ყაზახეთში, უზბეკეთში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ეს კი არა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტმა და „დინამოს" ორგანიზაციებმაც კი ვერ გადაწყვიტეს ეს ამოცანა, რის გამოც 1977 წელს სსრ კავშირში 250 ოსტატის მომზადების გეგმის შესრულებას 20 ერთეული დააკლდა.

უფრო უარესი მდგომარეობაა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების აღზრდის საქმეში. მაგალითად, შარშან მოსკოვში მხოლოდ 3 ასეთი მძლეოსანი მომზადდა, ბელორუსიაში — ორი, უკრაინაში — ერთი. შეიარაღებულ ძალებს, „სპარტაკს", სოფლის სპორტულ საზოგადოებებს არც ერთი ასეთი ათლეტი არ მიუცია ქვეყნისთვის.

სერიოზული ხარვეზებია სრულფასოვანი რეზერვის აღზრდაში, რაც ოლიმპიური რეზერვის მომზადების ცენტრებში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებში სპორტული ოსტატობის სრულყოფისთვის მუშაობის დაბალი დონით უნდა აიხსნას.

მოსკოვის „იუნოსტის" ბავშვთა და მოზარდთა ექვს სპორტულ სკოლაში 88 მწვრთნელი 2500 მოზარდს ავარჯიშებს, მაგრამ წლის მანძილზე „იუნოსტს" ერთი ოსტატიც არ აღუზრდია. საქართველოში სამი მძლეოსნობის სპეციალიზებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაა (აღარას ვამბობთ ათობით სხვა ჯგუფებზე), შედეგი კი არასახარბიელოა.

დასამალი არც ისაა, რომ კავშირის მასშტაბით სათანადო ყურადღება არ ეთმობა მწვრთნელთა სისტემატურ სწავლებას. ისინი ცოდნას არ იმდიდრებენ მოწინავეთა გამოცდილებითა და წვრთნის თანამედროვე მეცნიერული საფუძვლებით.

ძალზე მძიმე მდგომარეობაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივაც. ამჟამად სსრ კავშირში არ არსებობს არც ერთი კომპლექსური სპეციალიზებული ცენტრი, რომელიც ოლიმპიური მომზადების თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობდეს. პოდოლსკში საკავშირო პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო ბაზასაც კი არ აქვს სარბენი და სპორტული სიარულის სპეციალური ტრასები. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტალინში შექმნილი არ არის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების თანამედროვე დონეზე ჩატარებისთვის საჭირო პირობები.

საქართველოში, ლიტვაში, ლატვიაში თითო სტადიონიც არაა, რომლებზეც დიდი ასპარეზობების გამართვა შეიძლებოდეს. ციმბირის უდიდეს ქალაქ ირკუტსკს მანეჟი არ გააჩნია, კრასნოდარში ასეთ ნაგებობას 10 წელია აშენებენ.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მძლეოსნობის მკვეთრად განვითარებისთვის პასუხისმგებელი სპორტული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების მასალების საფუძველზე მიიღო მეტად საჭირო გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში „სპორტის დედოფლის" განვითარების ახალ გზებს სახავს. ეს მით უმეტეს საჭიროა ახლა — მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის ენერგიული მზადების პერიოდში.

კომიტეტის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ „მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა მძლეოსნების მომზადების შესახებ" საკავშირო სპორტკომიტეტის 1977 წლის 27 აპრილის დადგენილების შესასრულებლად ბევრი რამ გაკეთდა: უზბეკეთისა და სომხეთის რესპუბლიკებში მძლეოსნობის განვითარების მდგომარეობაზე ამ რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ბიუროებმა სპეციალურად იმსჯელეს, ეს საკითხი იდგა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართული დიდი თათბირების დღის წესრიგში.

მაგრამ შედეგი ჯერჯერობით მცირეა. სპორტკომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოები, უწყებები შეურიგდნენ არსებულ მდგომარეობას, მძლეოსნებს არ უქმნიდნენ აუცილებელ პირობებს. ზოგი სპორტკომიტეტი, უწყება, საზოგადოება წლობით არ სწავლობდა მძლეოსნობის მდგომარეობას, არ აკონტროლებდნენ რეზერვებისა და ქვეყნის ნაკრების კანდიდატების მომზადების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებებისა და შეჯიბრებების ორგანიზაციის საკითხებს.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, მოსკოვისა და ლენინგრადის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, საკავშირო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტს, „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" ცენტრალურ საბჭოებს დაავალა ყველა ღონე იხმარონ საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილების „მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა მძლეოსნების მომზადების შესახებ" შესასრულებლად, რისთვისაც მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ სპორტსმენების, მწვრთნელების სასწავლო-საწვრთნო მუშაობაზე, იდეურ-პოლიტიკურ და მორალურ-ნებელობით მომზადებაზე... უზრუნველყონ სპორტული ოსტატობის ამაღლების ინდივიდუალური გეგმების შესრულება, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატისა და XXII ოლიმპიადისთვის გუნდების მზადყოფნა.

საკავშირო სპორტკომიტეტმა მიიღო სპორტკომიტეტის მძლეოსნობის სამმართველოს წინადადება ოსტატობის ტემპის ზრდის სტიმულირების მიზნით, ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ. მისი მოქმედების პერიოდია 1978-1980 წლები. აი ეს ცვლილებებიც (იხილეთ ცხრილი).

**შენიშვნა:** სპორტის ოსტატობის კანდიდატობა და 1 თანრიგი კროსში ენიჭებათ საქალაქო შეჯიბრებებით დაწყებული და საკავშირო ასპარეზობებით დამთავრებული ფინალური შეჯიბრებების ჩატარების შემთხვევაში (ტერიტორიული ჩემპიონატები და გაზეთ „პრავდის" პრიზების გათამაშება) უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის (17 წლის ზევით) ქალებს 1,5 კმ, 2, 3, 5 კილომეტრზე და ვაჟებს 3, 5, 8, 10, 12, 14 კილომეტრზე, იმ შემთხვევაში თუ დისტანციის სტარტზე არანაკლები 50 სპორტსმენი გამოვა, ამასთან ეს თანრიგი მიენიჭებათ სპორტსმენებს, რომლებსაც რბენებში წინა თანრიგი აქვთ.

კროსის კლასიფიკაცია შეივსოს (ქალებისთვის) 800 მეტრზე შემდეგი ნორმატივებით: II თანრიგი — 2.32,0, III — 2.44,0, მოზარდთა I თანრიგი — 2.52,0, II — 3 წუთი, III — 3.08,0.

ელექტროქრონომეტრაჟით 100, 200, 400, 800, 1500 მეტრზე რბენაში, 100 და 400 მეტრზე თარჯრბენში დადგენილ ნორმებს ემატება 0,25 წამი. მრავალჭიდში ელექტროქრონომეტრაჟის დროს სათანრიგო მოთხოვნებში ქულათა შემდეგი ოდენობით მცირდება:

ვაჟები. ათჭიდი, რვაჭიდი, ექვსჭიდი — 100 ქულით, შვიდჭიდი — 160, ხუთჭიდი — 30 ქულით.

ქალები. ხუთჭიდი — 40, ზამთრის ხუთჭიდი — 70 ქულით.

| | საერთაშორისო ოსტატი | | სპორტის ოსტატი | | ოსტატობის კანდიდატი | | პირველი თანრიგი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ახალი | ძველი | ახალი | ძველი | ახალი | ძველი | ახალი | ძველი |
| **ვაჟები** | | | | | | | | |
| 60 მ | | | 6,5 | — | | | | |
| 100 მ | | | 10,4 | 10,3 | 10,6 | 10,5 | 11,0 | 10,9 |
| 200 მ | | | 21,2 | 21,0 | 21,7 | 21,5 | 22,5 | 22,4 |
| 400 მ | 45,7 | 45,5 | 47,5 | 46,8 | 48,6 | 48,2 | 50,5 | 50,3 |
| 800 მ | | | 1.49,0 | 1.48,0 | 1.51,5 | 1.51,0 | 1.56,5 | 1.56,0 |
| 1000 მ | | | 2.22,0 | 2.20,0 | 2.26,0 | 2.24,0 | 2.32,0 | 2.31,0 |
| 1500 მ | 3.37,0 | 3.36,5 | 3.44,0 | 3.42,0 | 3.50,0 | 3.49,0 | 4.02,0 | 4.01,0 |
| 3000 მ | | | 8.00,0 | 7.58,0 | 8.15,0 | 8.13,0 | 8.40,0 | 8.39,0 |
| 5000 მ | | | 13.50,0 | 13.45,0 | 14.15,0 | 14.10,0 | 15.00,0 | 14.55,0 |
| 10000 მ | | | 29.00,0 | 28.50,0 | 30.00,0 | 29.50,0 | 31.30,0 | 31.25,0 |
| თარჯრბენი 60 მ | | | 7,8 | 7,7 | 8,0 | 7,9 | 8,5 | 8,4 |
| 110 მ | | | 14.2 | 14,0 | 14,6 | 14,4 | 15,4 | 15,3 |
| 400 მ | | | 51,8 | 51,3 | 53,5 | 53,0 | 56,0 | 55,8 |
| წინაღობ. 3000 მ | | | 8.42,0 | 8.36,0 | 8.54,0 | 8.50,0 | 9.27,0 | 9.24,0 |
| მარათონი | | | 2:22.00,0 | 2:20.00,0 | 2:28.00,0 | 2:26.00,0 | 2:40.00,0 | 2:38.00,0 |
| სიმაღლე | 224 | 223 | 212 | 215 | 206 | 208 | 193 | 195 |
| ჭოკი | | | 500 | 510 | 480 | 490 | 440 | 450 |
| სიგრძეზე | 805 | 810 | 765 | 775 | 740 | 750 | 690 | 700 |
| სამხტომი | 16,80 | 16,90 | 16,00 | 16,20 | 15,50 | 15,70 | 14,50 | 14,70 |
| ბადრო | | | 58,00 | 59,00 | 53,00 | 54.00 | 47,00 | 48.00 |
| შუბი | | | 77,00 | 80,00 | 71,00 | 73,00 | 64,00 | 65,00 |
| ურო | | | 69,00 | 70,00 | 63,00 | 64,00 | 56,00 | 57,00 |
| ბირთვი | | | 18.00 | 18,50 | 16,50 | 17,00 | 14,70 | 15,00 |
| ათჭიდი | 8000 | 8100 | 7400 | 7500 | 6900 | 7000 | 6100 | 6200 |
| რვაჭიდი | | | | | | | 5200 | 5300 |
| შვიდჭიდი | | | | | 5100 | 5200 | 4500 | 4600 |
| სიარული 20 კმ | | | 1:31.00,0 | 1:30.30,0 | 1:35.00,0 | 1:34.30,0 | 1:41.00,0 | 1:40,30,0 |
| 50 კმ | | | 4:18.00,0 | 4:13.00,0 | 4:31.00,0 | 4:26.00,0 | 4:46.00,0 | 4:42.00,0 |
| **ქალები** | | | | | | | | |
| 60 მ | | | 7,3 | — | | | | |
| 100 მ | | | 11,6 | 11,5 | 11,9 | 11,8 | 12,5 | 12,4 |
| 200 მ | | | 24,2 | 23,8 | 24,8 | 24,5 | 26,0 | 25,8 |
| 400 მ | | | 54,2 | 53,8 | 56,0 | 55,5 | 58,5 | 58,2 |
| 800 მ | | | 2.06,0 | 2.04,0 | 2.10,0 | 2.08,0 | 2.17,0 | 2.16,0 |
| 1000 მ | | | 2.42,0 | 2.40,0 | 2.48,0 | 2.46,0 | 2.58,0 | 2.56,0 |
| 1500 მ | 4.05,0 | 4.04,0 | 4.20,0 | 4.17,0 | 4.28,0 | 4,25,0 | 4.42,0 | 4.40,0 |
| 3000 მ | | | 9.25,0 | 9.20,0 | 9.45,0 | 9.40,0 | 10.20,0 | 10.15,0 |
| თარჯრბენი 60 მ | | | 8,2 | 8,1 | 8,5 | 8,4 | 9,1 | 9,0 |
| 100 მ | 12,9 | 12,8 | 13,6 | 13,4 | 14,2 | 13,9 | 15,0 | 14,8 |
| 400 მ | | | 59,5 | 59,0 | 1.03,0 | 1.01,5 | 1.07,0 | 1.05,0 |
| სიმაღლე | 188 | 190 | 178 | 180 | 172 | 173 | 163 | 164 |
| სიგრძე | | | 620 | 630 | 600 | 610 | 560 | 565 |
| ბადრო | | | 56,00 | 57,00 | 51,00 | 52,00 | 45,00 | 46,00 |
| შუბი | 62,00 | 63,00 | 54,00 | 56,00 | 50,00 | 51,00 | 44,00 | 45,00 |
| ბირთვი | | | 17,00 | 17,50 | 15,50 | 16,00 | 13,70 | 14,00 |
| ხუთჭიდი | | | 3950 | 3900 | 3650 | 3600 | | |
| ზამთრის ხუთჭიდი | | | | | 3650 | 3600 | | |

# შედეგები შეჯამდა

**ამ დღეებში** საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად განიხილა რესპუბლიკის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების კოლექტივთა 1977 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციისა და უწყების სპორტული ბაზების კოლექტივები. კოლეგიაზე აღინიშნა „დინამოს" რესპუბლიკური და „განთიადის" ცენტრალური საბჭოების, თბილისის, ქუთაისისა და ტყიბულის საქალაქო სპორტკომიტეტების კარგი მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ითქვა, რომ რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის სპორტკომიტეტმა, სპორტული ბაზების დირექციებმა არ გამოიჩინეს საჭირო პასუხისმგებლობა და უგულისყუროდ მოეკიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

სპეციალურმა ჟიურიმ შეაჯამა 1977 წლის სოცშეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულად სცნო შემდეგი სპორტული ბაზების კოლექტივები:

I ჯგუფი. 1. სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტკომბინატი (დირექტორი ბ. პაიჭაძე); 2. ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების სპორტკომბინატი (დირექტორი ნ. ბოჭორიშვილი); 3. თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის სპორტული კომპლექსი (დირექტორი მ. ქვირიძე).

II ჯგუფი. 1 ადგილი არავის მიეკუთვნა; 2. მახარაძის „კოლმეურნის" სტადიონი (დირექტორი კ. გოგატიძე); 3. ქუთაისის სპორტკომიტეტის ცენტრალური სტადიონი (დირექტორი ნ. ფულარია).

III ჯგუფი. 1 ადგილი არავის მიეკუთვნა; 2. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საცურაო აუზი „თოლია" (დირექტორი მ. პაპუნაშვილი); 3. თბილისის „ლოკომოტივის" საცურაო აუზი (დირექტორი გ. ნიორაძე).

IV ჯგუფი. 1. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის სპორტული დარბაზი (დირექტორი მ. იმნაძე); 2. სპორტსაზოგადოება „განთიადის" თბილისის ფიზკულტურის სახლი (დირექტორი ა. გრიგორიანი); 3. თბილისის სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის დარბაზი (დირექტორი გ. კაჭარავა).

V ჯგუფი. 1. სპორტსაზოგადოება „დინამოს" სოხუმის სასროლეთი (დირექტორი მ. თურქია); 2. თბილისის სპორტკომიტეტის წყალჯომარდობის სადგური თბილისის ზღვაზე (დირექტორი ჯ. ელიზბარაშვილი); 3. თბილისის სპორტკომიტეტის წყალჯომარდობის ცენტრალური ბაზა (დირექტორი ა. მხეიძე).

გამარჯვებული კოლექტივები დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშებით, ვიმპელებითა და ფულადი პრემიებით.

# მხოლოდ ორი გუნდი

გასულ კვირას ამიერკავკასიის სამხედრო-სამონადირეო საზოგადოების სასროლეთში გაიხსნა თბილისელ მესტენდურეთა წლევანდელი სეზონი. სამწუხაროდ, ცეცხლის ხაზზე მხოლოდ ამ საზოგადოებისა და „ლოკომოტივის" 17 მსროლელმა მოიყარა თავი. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირმა და „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ ვერ შეძლეს თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნა.

საქართველოში სასტენდო სროლის განვითარება, სპორტის ამ სახეობის მიმდევართა ბრწყინვალე გამოსვლები საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში საქართველოს მონკავშირის შრომატევადი და ენერგიული მუშაობის შედეგია. ამ ორგანიზაციაში აღიზარდნენ და დაოსტატდნენ საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო რეკორდსმენები, რომელთა ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა.

მონკავშირი პერიფერიებშიც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა: სოხუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ბათუმში და სხვაგან ბაზებიც ჰქონდათ. ამ ორგანიზაციის გუნდი საკავშირო სარბიელზე მუდამ მრისხანე ძალას წარმოადგენდა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია აქ სასტენდო სროლის განვითარებისთვის აღარ ზრუნავენ. ყოველწლიურად მცირდება სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსნების მომზადების მაჩვენებლები. არადა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა კარს მოგვადგა. ამგვარი მუშაობით კი, უდავოდ, გაძნელდება საქართველოს ნაკრების დაკომპლექტება.

არც შედეგები იყო სახარბიელო. ადგილიდან სროლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. ამირხანოვი — 93 ქულა 100-იდან, შ. ფეტვიაშვილი (ორივე — ასკ) — 92, თ. იმნაიშვილი („ლოკომოტივი") — 92.

მრგვალ სტენდზე სროლა მოიგო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ქლენტმა — 92. II ადგილი ერგო ნ. დილმელაშვილს (ასკ) — 87, III — დ. ქვათაძეს (ორივე — „ლოკომოტივი") — 85.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

[illegible]

## გორი

გორის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში 30 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის ოსტატობის კანდიდატები გ. მუქნიაშვილი და გ. კუთარაშვილი. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა გ. შავდათუაშვილმა — 6,5 ქულა, II ადგილზე 6 ქულით გავიდა გ. მუქნიაშვილი. III ადგილი ხვდა ხ. ვანიშვილს — 5.

ი. თევდორაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა






# რაც ობიექტივს მიღმა რჩება

დასასრული

საბჭოთა კალათბურთის ლიდერთა შორის იყო.

ძნელია აღმავლობის გზაზე დამდგარი გუნდის შეჩერება. ორმაგად ძნელია, როცა ეს კოლექტივი თავისი პოტენციით არავისზე ნაკლები არ არის. ტკაჩენკოსა და ბელოსტენნის გუნდი კი სწორედ ასეთებს განეკუთვნება. ტიტულები თავისთავად, მაგრამ საქმე მარტო შარშანდელი ვერცხლის პრიზიორობა არ არის. ორი ისეთი ცენტრის ყოლა, რომელთაგან ერთი ბრწყინვალედ თამაშობს თავდასხმაში (ტკაჩენკო), მეორე კი მართლაც შეუდარებელია დაცვაში (ბელოსტენნი), საკმაოდ იშვიათი ბედნიერებაა ნებისმიერი საკალათბურთო ანსამბლისთვის.

ამ შეხვედრამდე მეტოქეები გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობით მოვიდნენ. ეს არის, კიეველებს ერთი მატჩით მეტი ჰქონდათ ნათამაშევი. თბილისში დამარცხებით „სტროიტელი“ ალბათ საბოლოოდ გადაიწურავდა სამეულში მოხვედრის იმედს. რჩებოდა ერთადერთი — მეოთხე ადგილი, რომელზეც ისეთივე საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს მოსკოვის „დინამოს“. ბუნებრივია, რომ ასეთ საეჭვო პერსპექტივას უკრაინელმა კალათბურთელებმა გუშინწინდელ მატჩში გამარჯვება არჩიეს.

თბილისელთა გეგმა უთუოდ ისეთივე იყო, როგორც წინა, მოსკოვის დინამოელებთან შეხვედრაში. ვიდრე კიეველთა ტანმაღალი ცენტრალური მოთამაშენი მოედანზე იქნებოდნენ, რამენაირად სერიოზულ უპირატესობაზე ფიქრი გაჭირდებოდა.

ტაბლომ ის-ის იყო დაიწყო მეექვსე წუთის ჩამოთვლა, რომ ბელოსტენნისაც და ტკაჩენკოსაც 2-2 პერსონალური შენიშვნა დაუგროვდათ. პირველს ქორქია ეთამაშებოდა, მეორეს — დერიუგინი. პირველი მინი-ტაიმი არც კი იყო დამთავრებული და ბელოსტენნიმ ოთხამდე „გაზარდა“ ეს უსიამო მარაგი. „დინამო“ რვა ქულით დაწინაურდა.

მეორე თორმეტწუთიანი ტაიმის დასაწყისი. ბელოსტენნი სათადარიგოთა სკამზეა. ტკაჩენკოს დერიუგინი ეთამაშება. სულ უფრო საგრძნობი ხდება ახალგაზრდა თბილისელი კალათბურთელის უპირატესობა. და აი, აქ ტკაჩენკოს ნერვებმა უმტყუნეს — პერსონალურ შენიშვნას არასპორტული საქციელისთვის მოედნიდან გაძევებაც მოჰყვა. თითქოს ყველაფერი ნათელია — ქორქიასა და დერიუგინს დიდი ჯაფა არ დაადგებათ იმისათვის, რომ ერთადერთი ფოლი „გამოუძებნონ“ კიეველთა ცენტრს, მერე კი ქულათა ის მარაგიც შექმნან, გამარჯვებისთვის საკმარისი რომ იქნება.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ამ წუთებში თბილისელთა მწვრთნელი, მე კი უშედეგოდ და უსილანტიევოდ დარჩენილი „სპარტაკი“ გამახსენდა...

ლევან მოსეშვილს დიდხანს არ უყოყმანია — მეორე და მესამე მინი-ტაიმების მეტ წილს თბილისის „დინამო“ ქორქიასა და დერიუგინის გარეშე თამაშობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვაობა ხან საკმაო იყო, ხან — მცირე, ხან კი სულაც არ იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ აღელვებულა თბილისელთა მწვრთნელი, ერთხელაც არ დაეჭვებულა არჩეული გზის სისწორეში. არადა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ის, თუნდაც რამდენიმე წამი, როცა კიეველებმა ანგარიშიც გაათანაბრეს და დაწინაურდნენ კიდეც. სტრატეგიულ უპირატესობას მატერიალური უპირატესობა შეეწირა — სანაცვლოდ გუნდს მარაგში რჩებოდა ორი ლიდერის ხელუხლებელი ენერგია, რაც საბოლოო გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი უნდა გამომდგარიყო.

ფერთა ასეთი გამუქება ერთი შეხედვით შეიძლება გაზვიადებადაც ეჩვენოს კაცს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

დღეს, როცა თბილისის „დინამოს“ გვარიანად უჭირს (ნუ შეგვეშინდება ამის თქმა), მართალი გითხრათ, ძალზე ძნელია მისი მწვრთნელობა. ძნელია თითზე ჩამოსათვლელი საიმედო კალათბურთელებით გაგრძელებული და გართულებული ჩემპიონატის მეჩეჩებს შორის უხიფათოდ სიარული და თანაც საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთ ვითარებაში მწვრთნელის მცირე შეცდომაც კი ერთიორად გაზრდილი და საგრძნობი ხდება გუნდისთვისაც, მისი გულშემატკივრებისთვისაც.

ისიც სიმართლეა, რომ უკეთეს დღეში არც შარშანდელ სეზონში იყო კოლექტივი და მაშინდელი ბრინჯაოს მედლის ელვარების ცთუნებას თუ გავუძლებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჯილდო გუნდს ძალების მაქსიმალურად დახარჯვის ფასად დაუჯდა. სხვანაირად — ეს იყო იმაზე მეტი, რაც შეიძლებოდა მოვვეთხოვა, რისი ძალაც შესწევდა კოლექტივს.

უთუოდ იკითხავენ, როგორ და რანაირად.

თბილისის „დინამოში“ შექმნილმა მეგობრულმა ატმოსფერომ, გუნდის ნებისყოფამ, ბოლომდე ბრძოლის უნარმა მოიპოვა შარშანდელი ბრინჯაო და არამც და არამც რაღაც განსაკუთრებულმა პოტენციამ, რომელიც ხვალ ვერცხლს „გააჩენს“, ზეგ კი — ოქროს.

მკითხველი ალბათ მაპატიებს ერთი მატჩის ანგარიშის საზღვრებიდან ასე ხელაღებით გათავისუფლებას, მაგრამ სათქმელი, დღეს იქნება თუ ხვალ, მაინც უნდა ითქვას.

გუნდი მარცხდება — ვაბრალებთ მწვრთნელს, გუნდი იმარჯვებს — ყოველნაირად ვცდილობთ თავის შეკავებას. აქ არც ლოგიკაა, არც ამ შემთხვევაში სავსებით ბუნებრივი მადლიერების გრძნობა მაინც.

თბილისის „დინამოს“ წარმატებებში (რა თქმა უნდა, ეს წარმატებები შეფარდებითია) უთუოდ დიდია ახალგაზრდა მწვრთნელების წვლილი.

არის მატჩები, სადაც კომბინაციათა სიმრავლე, ანდა უბრალოდ, რომელიმე კალათბურთელის ბრწყინვალე თამაში დაგახსომებს თავს. გუშინწინდელ შეხვედრაში ბევრი იყო კარგი კომბინაციაც, გაბედული იერიშიც, ოსტატური გარღვევაც, მაგრამ „დინამოსა“ და „სტროიტელის“ ორთაბრძოლას პირველყოვლისა ლევან მოსეშვილის მოთმინება გაახსენებს კალათბურთის მოყვარულებს, მოთმინება, მხოლოდ სიმწიფეში შესული მწვრთნელის ხვედრი რომ არის.

ი. ბერიაშვილი.

# თაყვანისმცემლები „ეცნობიან“ ჩემპიონს

დასასრული

ლვთეს დღეს ოცდახუთი წელი შეუსრულდაო. დაბადების დღის აღსანიშნავად ვალერიმ შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა საკუთარ თავს — აშკარა უპირატესობით სძლია ორენბურგელ ს. შტეხერს (ერთ რაუნდში ზედიზედ სამი ნოკდაუნი) და მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

პირველი საშუალო წონის მოკრივეთა ბრძოლებიდან ცალკე უნდა გამოიყოს 19 წლის თბილისელი სპორტის ოსტატის მურმან თაქთაქიშვილისა და ვლადივოსტოკელი ა. კოპტევის შეხვედრა. შეჯიბრების დღეებში ერთი მეტად საინტერესო კაცი გავიცანი. ოთხი დღის განმავლობაში რატომღაც გვერდიგვერდ გვიწევდა ჯდომა და უნებურად ერთმანეთსაც გამოვეცნაურეთ. იგი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, რსფსრ-ს სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი კრივში, მოსკოველი ლეონიდ სოკოლოვი. ეს შუახნის თმაჭაღარა, სანდომიანი გარეგნობის დინჯი მამაკაცი მუდამ ჩუმად, თავისთვის იჯდა, უბის წიგნაკში აუღელვებლად ინიშნავდა რაღაცას და მთელი შეჯიბრების განმავლობაში მიმდინარე ბრძოლების შესახებ სიტყვაც კი არ დასცდენია, მაგრამ როგორც კი მ. თაქთაქიშვილისა და ა. კოპტევის შეხვედრა დამთავრდა, აუციმციმდა თვალები, მომიბრუნდა და ჩვენი თანამემამულის გამარჯვება გულითადად მომილოცა: — შესანიშნავი ბიჭია — სწრაფი, ტექნიკური, ჭკვიანი. აი, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, მურმანი დიდებული მოკრივე დადგება. თანაც ხელწამოსაკრავი მეტოქე როდი ჰყავდა, ა. კოპტევი საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონია იუნიორთა შორის.

მურმანმა მართლაც რომ მოხიბლა თბილისელი მაყურებელი. სამივე რაუნდში დამაჯერებელ უპირატესობას მიაღწია და ყველა გვერდითმა მსაჯმა ერთსულოვნად მიანიჭა გამარჯვება. ამ წონითს კატეგორიაში დასამახსოვრებელი იყო სპორტის ოსტატის, არმიელი გ. რუმიანცევისა და ალმაათელი ოსტატობის კანდიდატის ვ. ჩეპაიკინის გამოსვლა. ამ უკანასკნელმა შესანიშნავად იასპარეზა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე რაუნდში ძლიერი დარტყმების შედეგად ნოკდაუნი მიიღო, არ შედრკა და მოწინააღმდეგეს ასევე ნოკდაუნით მიუზღო სამაგიერო, საბოლოოდ კი ბრძოლა ნოკაუტით დაასრულა. საინტერესო იყო ჩელიაბინსკელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ა. ჟურავლიოვისა და ხაბაროვსკელი ს. აბრამიანის შეხვედრა. აქ ორი რაუნდის განმავლობაში წარმატებით იბრძოდა ჩელიაბინსკელი მოკრივე, შეჯიბრების უკანასკნელ ფაზაში კი ს. აბრამიანს წარბი დაუზიანდა და იძულებული გახდა დამარცხებულს დაეტოვებინა სარბიელი.

როდესაც რინგზე ქვემძიმე წონის მოკრივეებს მოუხმეს, დარბაზი გამოცოცხლდა. პირველ შეხვედრაში, რომელშიც ცელინოგრადელი ვ. სკუბი და საბჭოთა კავშირის 43-ე ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, კაუნასელი ნ. ეროფეევი მონაწილეობდნენ, საინტერესო ბრძოლა ამ უკანასკნელის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. სწორედ ამ წონაში მოხდა ჩემპიონატის პირველი სენსაცია — საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი ვ. ლემეშევი... თბილისში ჩამოსული კრივის სპეციალისტები თითქმის ერთსულოვნად უწინასწარმეტყველებდნენ მას ერთ-ერთ მთავარ საპრიზო ადგილზე გასვლას, მაგრამ წინასწარმეტყველება არ ახდა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, კოსტრომელმა ა. კრუპინმა თავიდანვე შესანიშნავად წარმართა შეხვედრა და ოლიმპიური ჩემპიონის ჩვეულ ხერხს — როგორმე ერთი ძლიერი დარტყმით გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი, აგრესიული და შემტევი სტილი დაუპირისპირა. ვ. ლემეშევი ჯიუტად ელოდებოდა ხელსაყრელ შემთხვევას გადამწყვეტი დარტყმისთვის, მაგრამ ამ ლოდინში თვითონვე მიიღო ნოკდაუნი. მეორე რაუნდში მოკრივეებს ბრძოლის სტილი არ შეუცვლიათ და ალბათ ამის ბრალი თუ იყო, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიდევ ორი ნოკდაუნი იგემა და მსაჯებმაც სასწრაფოდ შეწყვიტეს ბრძოლა. ჩემპიონატის მეორე ფავორიტთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. კლიმანოვთან შეხვედრაში ტრავმის გამო ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო მოსკოველმა ი. გაგარინმა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

...რინგზე ერთმანეთის პირისპირ დგანან დ. კვაჭაძე და ლ. გევორქიანი. გაისმის გონგის ხმა. შეხვედრა იწყება. პირველ რაუნდში თბილისელმა მოკრივემ საოცარი მოხერხებულობა, ალღო და დაცვის ყველა საიდუმლოების ღრმა ცოდნა გამოავლინა. იგი შესანიშნავად გაურბოდა მეტოქის შემოტევებს, თითქმის შეუცდომლად მოქმედებდა და ძლიერი კონტრდარტყმებით ქულას ქულაზე აგროვებდა. დავით კვაჭაძე აშკარად გამოკვეთილი, ორიგინალური სტილის მოკრივეა. პირველ ორ რაუნდში ლ. გევორქიანის თითქმის ვერც ერთი დარტყმა ვერ მისწვდა მიზანს, ამან ერთგვარად გააღიზიანა იგი და III რაუნდში ბრძოლის წესიც კი დაარღვია, რისთვისაც მსაჯის სამართლიანი გაფრთხილება დაიმსახურა. დავით კვაჭაძემ დიდი აღმავლობით ჩაატარა მთელი შეხვედრა და თბილისის სპორტის სასახლის რინგზე პირველი გამარჯვება იზეიმა.

ნ. შატაიძე.




51 კგ. ა. ტკაჩენკო (დონეცკი) — ვ. ხაჯოიანი (ერევანი), ვ. მიროშნიჩენკო (დონეცკი) — ვ. ლაზიანი (ერევანი), ვ. კუზნეცოვი (ფრუნზე) — ვ. ნაზაროვი (კიევი), ა. მიხაილოვი (ვლადივოსტოკი) — მ. პატიუტკო (რსფსრ), ა. დუგაროვი — გ. კროხინი (ორივე — მოსკოვი), ო. განჯოიანი (თბილისი) — ო. მალიკი (ნოვოკუზნეცკი), ს. დურიანი (ერევანი) — ნ. მოისეევი (სვერდლოვსკი), ი. ბოგდანოვი (ივანო-ფრანკოვსკი) — გ. გალსტიანი (დნეპროპეტროვსკი).

57 კგ. ვ. რიბაკოვი (მოსკოვი) — ს. პეტროსიანი (თბილისი), ა. ზაიცევი (ივანოვო) — რ. ხაირუტდინოვი (ტაშკენტი), ვ. ნავროცი (კიევი) — ა. ვდოვინი (დნეპროძერჟინსკი), მ. კაბიროვი (უფა) — ა. პოღოსიანი (ერევანი), ვ. დემიანენკო (ალმა-ათა) — კ. პანკრატოვი (მოსკოვი), ა. სისოევი (ჩელიაბინსკი) — ნ. ნოვოსელოვი (პერმი), ვ. შელეხოვი (ლენინგრადი) — ბ. კესიკბაევი (ალმა-ათა), ვ. კოლიკოვი (პოდოლსკი) — ი. კრეჩეტოვი (ტამბოვი).

63,5 კგ. ა. გალუშკო (დონეცკი) — ხ. ამიანი (კიროვსკი), ვ. ვასილიევი (კრასნოიარსკი) — ი. ტხოროვსკი (ლვოვი), ვ. ზვერევი (ვოროშილოვგრადი) — ო. კოზელსკი (კიევი), ვ. როსლოვი (ფრუნზე) — ვ. ბობკოვი (სარატოვი), ვ. ზოლოტორიოვი (მინსკი) — ა. ზაროჩინცევი (ალმა-ათა), ვ. ლვოვი (ჩებოქსარი) — ს. შტეხერი (ორენბურგი), ა. სტრელნიკოვი (ალმა-ათა) — ო. ზაქიროვი (ტაშკენტი), ვ. ლეპტევი (ჩებოქსარი) — ვ. სიმონოვი (ბელგოროდი).

67 კგ. ვ. ბოდნია (რიგა) — მ. ტერენტიევი (ლენინგრადი), გ. ლიმასოვი (მოსკოვი) — პ. გალკინი (კასპიისკი), ვ. რაჩკოვი (ალმა-ათა) — ი. ზაიცევი (რსფსრ), ო. ტეპცოვი (კიევი) — კ. ბუკენოვი (ჯამბული).

71 კგ. ა. ჟურავლიოვი (ჩელიაბინსკი) — ს. აბრამიანი (ხაბაროვსკი), ვ. კუზნეცოვი (რსფსრ) — ა. კრუცი (ფრუნზე), ვ. ჩეპაიკინი (ალმა-ათა) — გ. რუმიანცევი (იზმაილი), მ. რატნიკოვი (მოსკოვი) — ს. ლუკოშინი (ტამბოვი), მ. თაქთაქიშვილი (თბილისი) — ა. კოპტევი (ვლადივოსტოკი), ა. ტოროსიანი (ლენინაკანი) — ა. კონიუშიხინი (რსფსრ).

81 კგ. ნ. ეროფეევი (კაუნასი) — ვ. სკუბი (ცელინოგრადი), ნ. საზონოვი (მოსკოვი) — ა. კლიმოვი (ნიკოლაევსკი), დ. კვაჭაძე (თბილისი) — ლ. გევორქიანი (კიროვაკანი), ა. იანჩაუსკასი (ვილნიუსი) — ი. ნოვიკოვი (სარატოვი), ა. კლიმანოვი (კიევი) — ი. გაგარინი (მოსკოვი), ვ. კუმბალოვი (კიევი) — ვ. რომენსკი (ნალჩიკი), ა. კრუპინი (კოსტრომა) — ვ. ლემეშევი (მოსკოვი), ვ. პუზანკოვი (ლიპეცკი) — ვ. ფროლოვი (რსფსრ).

შენიშვნა: პირველად დასახელებულნი არიან ის მოკრივეები, რომლებმაც შეხვედრები მოიგეს.

• • •

სურათებზე: რინგზე არიან ქვემძიმე წონის მოკრივეები დ. კვაჭაძე და ლ. გევორქიანი; ვ. ლიმასოვისა და პ. გალკინის შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## კალათბურთი

გუშინწინ გაიმართა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი შეხვედრა. ლენინგრადის „სპარტაკი“ რიგაში ადგილობრივი ვეფ-ის წინააღმდეგ თამაშობდა და გაიმარჯვა — 104:93. კაუნასის „ჟალგირისმა“ შინ მოუგო მოსკოვის „დინამოს“ — 132:119.

## ფეხბურთი

### ტრადიციული

ტაშკენტში დაიწყო იუნიორ ფეხბურთელთა ტრადიციული, რიგით მერვე საერთაშორისო ტურნირი. ამ ასპარეზობაში მონაწილეობენ არაუადრეს 1959 წლის 1 აგვისტოს დაბადებული ჭაბუკები. გათამაშების მონაწილენი დაყოფილი არიან 2 ჯგუფად: პირველი — უნგრეთი, უკრაინა, სსრ კავშირი I, ბულგარეთი, ირანი; მეორე — სსრ კავშირი II, გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უზბეკეთი. ჯგუფებში თამაშები გაიმართება წრიული სისტემით, ხოლო გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ მატჩში.

პირველი შეხვედრების შედეგები ასეთია: სსრ კავშირი I — ბულგარეთი 5:0, გდრ — უზბეკეთი —1:0, ირანი—უკრაინა—1:0, პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია — 2:0.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის I ნაკრების შემადგენლობაში თამაშობს თბილისის „დინამოს“ წევრი მეშკოვი.

### საკონტროლო მატჩი

ლესელიძეში საწვრთნელად მყოფმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საკონტროლო მატჩი გამართეს ორჯონიკიძის „სპარტაკთან“. პირველი ტაიმი დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0, ხოლო მთლიანად მატჩი — 4:1. დინამოელთაგან 3 ბურთი გაიტანა დარასელიამ, 1 — გუცაევმა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, კოსტავა, ხინჩაგაშვილი (ქორიძე), კანთელაძე (ჩივაძე), ხიზანიშვილი, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, დარასელია, ბაზაზაშვილი, გუცაევი, შენგელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შორს არ არის ის დღე, როდესაც სტარტს აიღებს ოლიმპიური ველორბოლა. ნაკრები გუნდი-80-ის საკითხი ახლავე აღელვებს მწვრთნელებს, ჯერჯერობით კი წვრთნას განაგრძობენ ქვეყნის მთავარი ნაკრების წევრები, რომლებიც მშვიდობის XXXI ველორბოლისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

საკდესის ფოტო.

## ხელბურთი

**საკავშირო** ჩემპიონატის მეთთხე ტურში რიგის ქვეჯგუფში კიევის არმიელთა და რიგის „ცელტნიეკსის“ შეხვედრაში კიეველები პირველ ტაიმს 10 ქულით აგებდნენ (4:14), მაგრამ საბოლოოდ შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 19:18. ზაპოროჟიეს გუნდების — ზიი-სა და ზას-ის ორთაბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 30:19. ცსკა-მ მოუგო სპორტკლუბ „კუნცევოს“ — 25:22.

## ჭადრაკი

### თამაშობენ დიდოსტატები

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურის შემდეგ დაწინაურდა ახალგაზრდა მოჭადრაკე ი. ტიმანი (ჰოლანდია) — 2 ქულა. ლიდერმა სძლია ლ. პორტიშს (უნგრეთი).

მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის (სსრ კავშირი) შეხვედრა ბ. ივკოვთან (იუგოსლავია) თითქმის შვიდ საათს გაგრძელდა და ბოლოს ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ, აგრეთვე, მ. ვუკიჩ (იუგოსლავია) — ბ. სპასკი (სსრ კავშირი), ვ. ჰორტ (ჩეხოსლოვაკია) — მ. ტალი (სსრ კავშირი), დ. ბირნი (აშშ) — რ. ჰიუბნერი (გფრ), ე. ბუკიჩ — ს. გლიგორიჩი (ორივე — იუგოსლავია).

ინგლისელმა ე. მაილსმა მოუგო ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია), ბ. ლარსენმა (დანია) — ი. ბალაშოვს (სსრ კავშირი).

დაწინაურებულ ტიმანს კვალში მიჰყვებიან კარპოვი, მაილსი და ჰორტი — 1,5-1,5.

### კიდევ ორი ფინალისტი

გეგეჭკორში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა პირველობის კიდევ ერთი ნახევარფინალი, რომელიც რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა.

გთავაზობთ შეჯიბრების შედეგებს: I. რ. კაპანაძე — 13 ქულა, II. გ. მაჭარაშვილი (ორივე — თბილისი) — 11,5, III-IV. ჟ. მზარელუა (ზუგდიდი), ბ. ხეცურიანი (ქუთაისი) — 11-11. V. მ. ჭიპაშვილი (კასპი) — 10,5, VI. გ. გიორგაძე (ქუთაისი) — 10, VII. გ. ტყებუჩავა (ცხაკაია) — 9, VIII. გ. ბერაძე (ქუთაისი) — 8, IX. რ. წურწუმია (ჩხოროწყუ) — 7, X. ტ. ბაირამოვი (დმანისი) — 6, XI. ვ. ქუჩუკიანი (წალკა) — 5, XII. ბ. კოტრიკაძე (ქუთაისი) — 4,5, XIII. ზ. ბოლქვაძე (გეგეჭკორი) — 4, XIV-XV. პ. სიგუა (ცხაკაია), ა. კაზიმოვი (ბოლნისი) — 3,5-3,5, XVI. დ. ახალაია (გეგეჭკორი) — 1,5.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს კაპანაძემ და მაჭარაშვილმა.

კ. გვალია,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## ჩემპიონატები, გუნდები, ლიდერები

### გდრ

კარგა ხნის შესვენების შემდეგ განახლდა ბრძოლა ეროვნულ ჩემპიონატში.

ლიდერი „მაგდებურგი“ მეორე წრის პირველ მატჩს ატარებდა ბერლინში ადგილობრივ „უნიონთან“. ლიდერის უპირატესობა აშკარა იყო — 4:0. ბურთები გაიტანეს შპარვასერმა, შტრაიხმა, ჰოფმანმა და ტალმა. ამასობაში მაგდებურგელთა მთავარი კონკურენტი, დრეზდენის „დინამო“ ტუეში ფრეს დასჯერდა (1:1) ადგილობრივ „ვისმუტთან“.

14 ტურის შემდეგ 23 ქულით კვლავინდებურად ლიდერობს „მაგდებურგი“, ორი ქულით ნაკლები აქვს „დინამოს“ (დრეზდენი). 18 ქულით III ადგილზეა „დინამო“ (ბერლინი), 17-17 ქულა აქვთ ლაიფციგის „ლოკომოტივსა“ და ჰალეს „ხემის“.

სნაიპერთა შორის 10 გატანილი ბურთით I ადგილზეა შტრაიხი („მაგდებურგი“).

### უნგრეთი

აქაც დამთავრდა შესვენება. გუნდებმა ჩაატარეს მეორე წრის მორიგი მატჩები.

ლიდერმა, „დოჟა-უიპეშტმა“ (ბუდაპეშტი) დიდი უპირატესობით წარმართა მატჩი საკუთარ მინდორზე „სეგედთან“ — 6:1. ბუდაპეშტში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები, ადგილობრივი „ჰონვედი“ და „ვიდეოტონი“ (შეკეშფეჰერვარი). ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მტკ-სა და „ფერენცვაროშის“ მატჩი დასრულდა ფრედ — 1:1.

20 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის დიდი სიმჭიდროვეა. „დოჟა-უიპეშტს“ 29 ქულა აქვს, „ჰონვედს“ — 28, „ვიდეოტონს“, ჩემპიონ „ვაშაშსა“ (ბუდაპეშტი) და მტკ-ს (ბუდაპეშტი) — 27 ქულა თვითეულს. ჯერჯერობით ეს ხუთეული იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის.

### საფრანგეთი

ნათამაშევია 28 ტური. ამასთან გუნდების ნაწილს თითო-ოროლა მატჩი გამოტოვებული აქვს. 27 თამაშიდან 36 ქულით წინ არის „მონაკო“. 28 თამაშიდან ამდენივე ქულა აქვს მარსელის „ოლიმპიკს“. 27 თამაშიდან 35 ქულა — „ნანტს“, 28 თამაშიდან 35 ქულა — „ნიცას“.

### ჩეხოსლოვაკია

გაიმართა მეორე წრის პირველი მატჩები.

ლიდერი „ზბროიოვკა“ (ბრნო) თამაშობდა პლზენში ადგილობრივ „შკოდასთან“. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა. წარმატებით ითამაშა ლიდერის ძირითადმა მეტოქემ, შარშანდელმა ჩემპიონმა „დუკლამაც“, რომელმაც შინ ანგარიშით 3:0 მოუგო პრეშოვის „ტატრანს“.

16 ტურის შემდეგ 24 ქულით წინ არის „ზბროიოვკა“. მას ერთი ქულით ჩამორჩება „დუკლა“. 20-20 ქულა აქვთ კოშიცეს „ლოკომოტივსა“ და პრაღის „სლავიას“, 18 — პრაღის „ბოჰემიანსს“.

### ბელგია

25-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა „სკ ბევერენ-ვაასსა“ და გათამაშების ლიდერ „ფკ ბრიუგეს“ შორის ფრედ 2:2 დამთავრდა. ასევე ფრედ 1:1 ითამაშა „სტანდარდმა“ (ლიეჟი) „ბეერშოტთან“ (ანტვერპენი).

25 ტურის შემდეგ „ფკ ბრიუგეს“ 39 ქულა აქვს და 4 ქულით უსწრებს „სტანდარდს“ (ლიეჟი).

### ინგლისი

დაიწყო 28-ე ტური. უამინდობის გამო გაიმართა სულ ორი მატჩი. „ბრისტოლ სიტიმ“ ფრედ (2:2) ითამაშა „მანჩესტერ სიტისთან“, ხოლო „ევერტონმა“ (ლივერპული) მოუგო 2:1 „ვესტ ჰემ იუნაიტედს“.

28 ტურის შემდეგ 42 ქულით წინ არის „ნოტინჰემ ფორესტი“. „ევერტონს“ 38 ქულა აქვს.

### გფრ

26-ე ტურში გაიმართა მხოლოდ 6 მატჩი. დანარჩენი 3 შეხვედრა უამინდობის გამო მოგვიანებით შედგება.

ლიდერმა „კიოლნმა“, რომელიც დორტმუნდში თამაშობდა „ბორუსიასთან“, მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა — 2:1. აი დანარჩენი შეხვედრების შედეგები. „ჰერტა“ (დას. ბერლინი) — „სტ. პაული“ (ჰამბურგი) 5:0, „მიუნხენ 1860“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:2, „შალკე 04“ (გელზენკირხენი) — „ბაიერნი“ (მიუნხენი) 3:2, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — „ვერდერი“ (ბრემენი) 1:1, „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „ბოხუმი“ 5:3.

ამრიგად, 26 ტურის შემდეგ 36 ქულით წინ არის „კიოლნი“. ჩემპიონ „ბორუსიას“ (მიონხენგლადბახი), „ჰერტას“ — 32-32, „ფორტუნას! (დიუსელდორფი) — 30, „შტუტგარტს“, „შალკე 04“-ს — 29-29 ქულა აქვთ.

### თურქეთი

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაიწყო თურქეთის ჩემპიონატის მეორე წრე.

მე-16-ე ტურში მარცხი განიცადა „ფენერბახჩემ“ (სტამბოლი), რომელიც აქამდე ერთპიროვნული ლიდერი იყო. მან სტუმრად წააგო 2:3 „სამსონსპორთან“. ჩემპიონმა — „ტრაბზონსპორმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა უკანასკნელ ადგილზე მყოფი „მერსინი“.

ახლა „ტრაბზონსპორსა“ და „ფენერბახჩეს“ 23-23 ქულა აქვთ, მაგრამ ჩემპიონი ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველ ადგილზეა. 18 ქულით III ადგილზეა „გალათასარაი“ (სტამბოლი). მიმომხილველები აღნიშნავენ სტამბოლის „ბეშიქთაშის“ დიდ წინსვლას. სეზონის დასაწყისში ეს გუნდი მარცხს მარცხზე განიცდიდა, მაგრამ მას სათავეში როგორც კი ჩაუდგა წარსულში განთქმული იუგოსლაველი ფეხბურთელი მილუტინოვიჩი, „ბეშიქთაშმა“ მკვეთრად გააუმჯობესა თამაში და ახლა 17 ქულით პრეტენზიას აცხადებს საპრიზო ადგილზე.

### იტალია

19 ტურის შემდეგ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი წამყვანი მდგომარეობა ჩემპიონმა „იუვენტუსმა“. მან საკუთარ მინდორზე მიიღო „ლაციო“ (რომი) და დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა — 3:0.

აი ტურის სხვა მატჩების შედეგები: „ატლანტა“ (ბერგამო) — „ვერონა“ 1:0, „ბოლონია“ — „ფოჯა“ 2:1, „ფიორენტინა“ — „პერუჯა“ 2:1, „ჯენოვა“ — „ნაპოლი“ 1:1, „ინტერი“ — „ტორინო“ 0:0, „ლანეროსი“ (ვიჩენცა) — „მილანი“ 1:1, „რომა“ — „პესკარა“ 2:0.

ამრიგად, 19 ტურის შემდეგ „იუვენტუსს“ 28 ქულა აქვს. 23 ქულა მოაგროვეს „მილანმა“, „ლანეროსიმ“ და „ტორინომ“. 22 — „ინტერმა“.

მძაფრი ბრძოლაა პირველ ლიგაში დარჩენის უფლებისთვის. ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვს „პესკარას“ (12 ქულა), შემდეგ იტალიის ექს-ჩემპიონ „ფიორენტინას“ (14). საფრთხე ემუქრებათ, აგრეთვე, „ფოჯასა“ (15) და იტალიის კიდევ ერთ ექს-ჩემპიონ „ბოლონიას“.



## მძლეოსნობა

**დუშანბეში** გაიმართა სსრ კავშირის ზამთრის პირველობა ტყორცნებში. ასპარეზობამ 300-ზე მეტ მძლეოსანს მოუყარა თავი.

უროს ტყორცნაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კიეველმა ი. სედიხმა მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგით იმარჯვა — 74 მ, 40 სმ.

ოდესელმა ი. დუგინეცმა ბადრო 60 მეტრსა და 48 სანტიმეტრზე ტყორცნა, რამაც მას პირველობა მოუტანა. ქალთა შორის ამ სახეობაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ს. მელნიკოვამ — 60,68 მ. შუბის ტყორცნაში აღსანიშნავია ზაპოროჟიელი ვ. ერშოვის შედეგი — 79,66.

## „შეიძლება თუ არა აჯობო ჰეიდენს?“

საკდესის სპორტული მიმომხილველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვიქტორ კოსიჩკინი** თავის აზრს გვიზიარებს სპრინტერულ რბოლაში მოციგურავე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.

— შეკითხვათა სეტყვაში, რომელიც კვირა საღამოს ტელეფონით დამატყდა თავს, უმთავრესი იყო ერთი: „შეიძლება თუ არა აჯობო ჰეიდენს?“ მე ვპასუხობდი: „შეიძლება!“ და გულწრფელიც ვიყავი, რამდენადაც მართლაც ასე მიმაჩნია. დიახ, მოციგურავეთა ბოლო ორი წლის 6 მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული, იუნიორთა, სპრინტერთა და მრავალჭიდელთა შორის უძლიერესი — 19 წლის ერიკ ჰეიდენი გამოჩენილი სპორტსმენია, მაგრამ მისი უძლეველობა მეტოქეების ბრალიცაა. ისინი რომ უფრო სწრაფები იყვნენ, მოსვენებას არ მისცემდნენ მას დისტანციის ყოველ მეტრზე და განა შეძლებდა თუნდაც ასეთი, ჭეშმარიტად ძალიან ნიჭიერი მოციგურავე ასე ადვილად ვადამდე გამარჯვებას?..

დარწმუნებული ვარ, რბენის ტექნიკით, სისწრაფის განვითარებით ჰეიდენი არც იმდენად სჯობს თავის მეტოქეებს. გავზედავ და ვიტყვი, რომ ერიკი აღწევს „ფსიქოლოგიურ გამარჯვებებს“. მას სჯერა, დარწმუნებულია, რომ ყინულზე ყველაზე სწრაფია. რაც მართალია მართალია, რომ უდავოდ ნიჭიერია და, როგორც ამბობენ, ტიტანურ სიმტკიცეს იჩენს ვარჯიშის დროს.

ამ დღეებში ჩამოვედი გორკიდან, სადაც ჩატარდა რსფსრ-ის ხალხთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები. ყურადღებით ვადევნებდი თვალს ახალგაზრდა მოციგურავეებს. ვნახე ათზე მეტი სპორტსმენი, რომელთაც ყინულის ბილიკზე ბრწყინვალე ტექნიკა გამოავლინეს და კარგი სისწრაფე განავითარეს. ვფიქრობ, საჭიროა მათ გამარჯვების გემო გაიგონ. შესაძლებლობა უნდა მივცეთ დიდ შეჯიბრებებში გამოვიდნენ...

ეს საუბარი იმიტომ წამოვიწყე, რომ ჩვენს ლიდერს სერგეი მარჩუკს საკავშირო სარბიელზე სჭირდება მეტოქეები, რომლებიც მის მსგავსად, შეუპოვრად ჩაებმებიან ნებისმიერ „ვარსკვლავთან“ ბრძოლაში.

სხვადასხვაგვარად შეიძლება გიოტებორგში მარჩუკის გამოსვლის შეფასება. ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი — III ადგილზე. რას ნიშნავს ეს, მარცხია თუ წარმატება? პირადად მე, როცა მარჩუკს შევხვდები, ვეტყვი: „ყოჩაღ!“.

გულახდილად რომ ვთქვათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სერგეი მრავალჭიდელთა შორის პრიზიორებში მოხვდებოდა მას შემდეგ, რაც ნორვეგიელებმა პირველ დღეს იგი IV ადგილზე „გადასწიეს“. იგი მეთხე იყო 1500 მეტრზე რბოლის შემდეგაც. და მაინც მარჩუკი თავდაუზოგავად იბრძოდა ბოლომდე...

მისი შემხედვარე სხვა საბჭოთა მოციგურავეებიც არ ზოგავდნენ ძალას. როგორც გახსოვთ, მარჩუკი გასულ მსოფლიო პირველობაში მეთხე იყო, ვ. ლობანოვი — მეცხრე, ვ. ლესკინი — მეცამეტე, წლეულს კი ლობანოვი V ადგილზე გავიდა, ლესკინი — მეექვსეზე.

და მაინც, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან გამოჩნდებიან მოციგურავეები, რომლებიც გაუსწრებენ „მფრინავ ამერიკელს“. საჭიროა მხოლოდ როგორც მოციგურავეთა, ისე მწვრთნელთა უფრო მონდომებული მუშაობა (საკდესი).

## კვლავ მსოფლიო რეკორდი

**მოსკოვში** სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის აუზში დამთავრდა წყალქვეშ სწრაფცურვაში საკავშირო შეჯიბრება. ასპარეზობის ბოლო დღეს მოსკოველ ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გ. ბოჩენკოვა, ი. მაქსიმოვა, მ. პოლიშჩუკი და ი. არტამონოვა, 4×200 მეტრზე ესტაფეტაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 7.14,93.

ახლა ჩვენს სპორტსმენებს 17-20 მარტს ელით სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელიც მოსკოვის ამავე აუზში ჩატარდება.

## „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მეცხრე ტირაჟი. აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“: 1, 20, 22, 29, 30, 48. შეღავათიანი ბურთულა — 39.

„სპორტლოტო-2“: 6, 7, 12, 17, 45, 49. შეღავათიანი ბურთულა — 14.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის კვირაში ხუთჯერ. გამოცემა საქართველოს სსრ [illegible] რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 (დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“).
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-50-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-58; განყოფილებები: [illegible] — 99-61-71, 93-97-[illegible]
მასობრივი და კულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხალხის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქალაქის — 93-97-56; [illegible] — 93-97-54; კორესპონდენტების — 93-97-49; გამომშვები — 93-98-61; ფოტოლაბორატორიის — 93-97-58; შენიშვნები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01084